



ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა  
**LINGUISTICS, LITERARY CRITICISM**

---

---

დისკურსი: ბუნება/ადამიანი ე. შაფაქის  
ერთი რომანის მიხედვით

**თამარ გოგოლაძე**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.  
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა  
ფაკულტეტის პროფესორი,  
1400, გორი, კეცხოველის ქ. #62  
+995 77251272. tamilagogoladze@gmail.com  
<https://orcid.org/0000-0005-0450-2924>

**ქეთევან ბარბაქაძე**

პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.  
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა  
ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი,  
+995 577151211, qbarbakadze@gmail.com  
<https://orcid.org/0000-0002-8706-2102>

**აბსტრაქტი**

საუკუნეთა მანძილზე კაცობრიობის ინტელექტუალური სამყარო ინტერესდებოდა ბუნებისა და ადამიანის ურთიერთკავშირისა თუ ზემოქმედების კარდინალური საკითხებით. ეს

გრძელდებოდა და განსხვავებულ, ურთიერთ-საპირისპირო შეხედულებებით ყალიბდებოდა ბოლო სამი საუკუნის არეალში. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული აღნიშნულ თემას საოცარი განვითარება მისცა ქართველმა მწერალმა ვაჟა-ფშაველამ (1861-1915) (თავის დროზე ვერ ითარგმნა მისი ნააზრევი ევროპულ თუ აზიურ ენებზე), თუმცა მისგან დამოუკიდებლად XXI საუკუნეში შესანიშნავი თურქი მწერალი ქალი (თურქულ და ინგლისურენოვანი) ელიფ შაფაქი (1971) ახლებურად იწყებს ბუნებასთან ადამიანის მიმართულების საკითხის კვლევას ახალ რომანში „გამქრალი ხეების კუნძული“ („The Island of missing Tress“, რაც წარმოდგენილი იქნება წინამდებარე სტატიაში), სოლიდური სამეცნიერო კვლევების შესახებ არსებული ლიტერატურის გამოყენებითა და ფანტაზიით ელიფ შაფაქი ცდილობს ერთი საკრალური ხის, ლედვის ხისა, და ადამიანების ურთიერთობის მაგალითზე გაშალოს მსოფლიოს სადღესო პრობლემა - იძულებითი მიგრაციის ერთი კუნძულის ტერიტორიაზე მცხოვრებთა დაპირისპირების, სიკვდილის, სიყვარულის, მამა-შვილის მეგობრობისა თუ გაუცხოების საკითხები. რომანის ჟანრში ჩატეული ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირები არიან ადამიანები, მცენარეები, მწერები, ცხოველები და, იქნება მთელი ბუნებრივი მოვლენები.

თუმცა კვლევის პროცესში ჩვენთვის უცნობი აღმოჩნდა, რამდენად ახლოს დგას ელიფ შაფაქის რომანის სამყარო ქართველი მწერლის ვაჟა-ფშაველას ნააზრევთან. ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი იქნებოდა სამეცნიერო საზოგადოებისათვის მათი შედარებანი და ის საერთო ნიშნები, რაც (ანიმიზმის, ანთროპომორფიზმის, ანტიკური მრავალმერთიანობის, თანამედროვეობაში გავრცელებული ფუნდამენტური რელიგიების) ფონზე გამოიკვეთა და ცხადყო ერთადერთი ჭეშმარიტება სამყაროსა და ადამიანის, ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიული არსებობის

აუცილებლობაზე, ეს კი ელიფ შაფაქის მრავალმხრივი მწერლური ალღოსა და ოსტატობის გამოხატულებაა.

**საკვანძო სიტყვები:** შაფაქი, ვაჟა-ფშაველა, ლედვის ხე, ხმელი წიფელი, ბუნება.

## შესავალი

ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში ოცნებობდა ქართველი პოეტი, მოაზროვნე, კავკასიის მთების შვილი ვაჟა-ფშაველა (1861-1915) ევროპისათვის, ინტელექტუალური საზოგადოებისათვის ცნობილი გამხდარიყო მისი ნაწარმოებები თარგმანების მეშვეობით. თუმცა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დადგომამდე ოცნება ოცნებად დარჩა. დღეს იგი თარგმნილია როგორც ევროპულ, ისე აღმოსავლურ ენებზეც (მაგალითისთვის უნდა დავასახელოთ მისი პოემების თარგმანები (სულ ახლახანს იაპონურ ენაზეც). თარგმანების მეშვეობით გამოჩნდა მისი ნააზრევო სამყაროსა და ადამიანის, ბუნებისა და ადამიანის ურთიერთკავშირის, თუ ჰარმონიულობის დარღვევის მცდელობის შესახებ. დიდხანს მიმდინარეობდა დისკუსია ლიტერატურათმცოდნეთა თუ ფილოსოფოსთა შორის, იყო თუ არა ვაჟა „წარმართი, პანთეისტი, ანიმისტი და ა.შ. (ვ. აბაშიძე, ს. დანელია, გ. ქიქოძე და სხვ.)“ (ჭუმბურიძე, 1974:199).

კრიტიკოსი იპოლიტე ვართაგავა წერდა: „...ყოველივე საგანს და ბუნების მოვლენას, რომელსაც აგვიწერს ვაჟა, ის ასულდგმულებს, უკეთ რომ ვსთქვათ, აადამიანებს ადამიანის ხორციით, ნერვებით და სულით აჯილდოებს. და ეს გაადამიანება ბუნებისა ისეთ ხარისხამდე აქვს მოსაწინააღმდეგო, რომ ილუზიას ემღევიან და გგონიან, რომ თქვენ თვალწინ იშლება წარმოდგენა ბუნების გამღმერთებელ და გამაცოცხლებელ ძვე-

ლის დროის ადამიანისა და არა მეოცე საუკუნის შვილისა!“ (ვართაგავა, 1958:35).

არ შევცდებით, თუ ამას გავიმეორებთ თურქი მწერალი ქალის ელიფ შაფაქის (1971) რომანის („გამქრალი ხეების კუნძულიდან“) მიმართაც. ის, თუმცა მიზნად ისახავს ძირითადი პრობლემების (კუნძულის ორად გაყოფის ტკივილი, ემიგრაცია...) გასაშლელად გამოიყენოს სინამდვილეში თავად აქცევს ერთს ხეს (რომლის ბიბლიური ფესვებიცაა გახსნილი) ლედვის ხეს, მთავარ პერსონაჟად, რომელიც თავად არის ცოცხალი არსება, საკუთარი მეხსიერებაც რომ გააჩნია და ადამიანებთან თუ დანარჩენ ბუნების შვილებთან ურთიერთობის უნარიც.

ელიფ შაფაქზე ბევრი წერს, მისი მანერა მხატვრულად გამორჩეულია. მოგვყავს ერთი რეცენზეტის აზრიც რომანზე: ესაა სიბრძნით აღსავსე რომანი სიყვარულზე და განშორებაზე, ფესვებსა და ტოტემზე, ემიგრაციასა და სხვა ქვეყანაში ცხოვრებაზე, იმედსა და რწმენაზე (დევიდ მიტჩელი).

ვაჟა-ფშაველაც XIX-XXI საუკუნეებში გახდა ცნობილი. ინგლისელი პროფესორი, ქართველოლოგი დონალდ რეიფილდი მას მიიჩნევდა სხვა ქართველ მწერლებზე გამორჩეულად და თვითონ თარგმნიდა მის ნაწარმოებებს ინგლისურად (დ. რეიფილდი „საქართველოს ლიტერატურა: ისტორია“ – 1981, 2000 წ.წ.).

ბუნებრივია, მხოლოდ ეს არაა სრული თანხვედრა, მსგავსება ან ურთიერთგავლენა, მით უმეტეს, რომ ლედვის ხე მოგვაგონებს ვაჟა ფშაველას ხმელ წიფელს, მაგრამ ის სითბო, სიყვარული მოქჩრიალებს ელიფ შაფაქის რომანიდან, რომ ქართველ კაცს უნებლიედ მოაგონებს ათასჯერ გაგონილს, გაანალიზებულს, შესწავლილს. შაფაქი უცნაური გამადიდებელი შუშით იყურება ბუნებაში, თუმცა მისი აზრები უახლესი მეცნიერული გამოკვლევებით (იქნება ეს გამოცემები თუ ინტერნეტრესურსები) მისეული შეფასებებით არის გაჯერებული, ამისათვის იყე-

ნებს ყველა საშუალებას: მონოლოგების, დიალოგების მეშვეობით გახსნას მათი ტკივილები თუ სისხლი, გაუცხოება თუ საყვარული ადამიანის ხელახლა აღმოჩენა.

ამიტომაც საკვლევ საკითხად შაფაქის უჩვეულო მხატვრულ ოსტატობაზე ვამახვილებთ ყურადღებას და არა უცხოეთში გამოცემულ რეცეზიებზე თუ ლიტარატურათმცოდნეთა ნათქვამ-შეფასებაზე. მიზანი ერთია: გაიხსნას ელიფ შაფაქის სიღრმისეული სამყარო, ახლობელ თემასთან შედარებისა და საერთო დასკვნების საფუძველზე.

### **მეთოდები**

შედარებით - ტიპოლოგიური, რამდენადაც ე. შაფაქის რომანი შეესაბამება ბუნებისა და ადამიანის ურთიერთმიმართების თემას. მხატვრულ ტექსტებში საუკუნის წინათ ქართველი მწერლის ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ამავე საკითხების სახეობრივი წარმოჩენით.

### **ძირითადი ნაწილი/მსჯელობა**

ელიფ შაფაქი ცნობილი მწერალია თურქულ და ინგლისურენოვან ლიტერატურაში, რასაც ცხადყოფს ის ჯილდოები, რომლებიც 2004 წლიდან მოყოლებული გამოკვეთენ მისი მხატვრული სტილის გამორჩეულობას. ფილოლოგიის, ფილოსოფიის საკითხების ღრმა ცოდნა მწერალს ეხმარება გაანალიზოს მისი თანამედროვე ეპოქის აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების მტკივნეული საკითხები, იქნება ეს ქალთა უფლებების შელახვა, ლოკალური ომები თავისი შედეგებით, ერთა შორის ურთიერთობანი, თუ სიყვარული და მეგობრობა. XXI საუკუნის 20-იან წლებში შექმნილი მისი რომანი „The Island of missing Tress“ ორად გაყოფილი კუნძულის (კვიპროსის) სამყაროს წარმომადგენლებს ეხება, რომლებიც ამ ძნელბედობის ჟამს იძულებული ხდებიან ინგლისში, ემიგრაციას შეაფარონ თავი.

სამყარო ადამის და ევას დროიდან მოყოლებული ცოდვასა და მადლს შორის ტრიალებს. ამიტომაც ბიბლიური ვაშლის ნაცვლად, რომელიც ცოდვის სიმბოლოდ იქცა, ელიფ შაფაქი ირჩევს ლეღვის ხეს, რისი ფოთლებით სცადეს ქალმა და მამაკაცმა სირცხვილს გაქცეოდნენ. ამდენად გამოიყოფა ლეღვის ხის ცხოვრებაც მშობლიურ მიწაზე (კვიპროსზე) და მისი ნედლი ნერგის გახარებისა უცხო მიწაზე (ინგლისი), ფესვებს რომ შერჩენიათ ძველი მეხსიერება.

ლეღვის ხე ცოცხლობდა და ვითარდებოდა, ნაყოფით ატკბობდა ადამიანებს, მაგრამ ბრძოლების შედეგებით დალდასმული კვდება, თუმც ერთადერთი სიცოცხლის ნიშანი, რომელიც გააგრძელებს მის არსებობას ადამიანის, ბერძენი კოსტასის, მიერ წამოღებული ნერგია.

„...უცნაურმა აპათიამ შემიპყრო, ეს მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა, ვერ ვიყავი კარგად, ყველა სულდგმულის მსგავსად, ლეღვის ხესაც ტანჯავს მრავალრიცხოვანი სენი და ინფექცია, მაგრამ ამჯერად ბრძოლის თავი აღარ მქონდა...“ (შაფაქი, 2022:366-367), „როგორც იმედს შეუძლია ზოგჯერ სასოწარკვეთილების მორევიდან უეცარი ამოსკუპება, მშვიდობას კი - ომის ნანგრევებზე ყლორტების გამოსხმა, ხესაც შესწევს უნარი, ავადმყოფობისა და ლპობის წუმპიდან აღმოცენდეს და გაიხაროს. ერთი სიტყვით, თუ კვიპროსელი ლერწი ინგლისში ფესვებს მოიკიდებდა, ზუსტად იმავე ხეს ვერ მიიღებდნენ, მაგრამ გენეტიკურად იდენტურს - უდავოდ“ (შაფაქი, 2022:378).

ვაჟასთან კი ერთ ციცქნა მოთხრობაში „ხმელი წიფელი“ (1888-1889 წ.) ხმელი წიფლის მდგომარეობა ასეა აღწერილი:

„ხმელი წიფელი შეუმფოთრადა დგას, არც ავს იტყვის, არც კარგს, დგას გაშტერებული; იმან არც სიბრაალული იცის, არც სიმძულვარე; არც სამტროდ აუდუღდება გული, არც სამოკეთოდ; ფიქრობს ხმელი წიფელი თავისთავზე, წარსულზე, აწმყ-

ოსა და მომავალზე; გულში თითქოს ღრმად ჩასჭედვია მწუხარება. ხანდახან გადმოაცქერდება მის ერთს ფესვის ბოლოზე ამოსულს პატარა დასახულს ყლორტს, რომელიც მზეს და წვიმას უცდის, რომ გაიზარდოს. ესღაა იმისი ნუგეში...“ (ფშაველა, 2012:92).

და თუ შაფაქის ლეღვის ხე ხშირად პერსონიფიცირებულად მსჯელობს, აზროვნებს და ფიქრებს უზიარებს მწერებს, ცხოველებს, ფრინველებს, ვაჟას გმირი, ხმელი წიფელი, თუმცა არ ლაპარაკობს, აზროვნებს, ფიქრობს და ხსოვნას ინახავს გულში, რადგან „ადგილის დედის“ შვილია, სამყაროს მფეთქავი ნაწილი.

ჩიკო თუთიყუში თავის თანატომელებთან დაშორების გამო წყურვილს ადამიანთა გარემოში იკმაყოფილებს:

თაგუნას, ფუტკარს მოაქვთ ახალი ამბები ადამიანთა სამყაროდან მცენარეთა სამყაროში. ვაჟას ია და სასუტელა ესაუბრებიან ერთმანეთს, მგელი წუხს, შვლის ნუკრი მონადირის შიშით თრთის... და ელიფის სამყაროს თუ მითოლოგიური ღმერთები მბრძანებლობენ, ვაჟას ყველაფრის პატრონი „ადგილის დედა“, დედამიწა და ბოლოს ღმერთთა შემქმნელი და წარმართველი. ორივე მწერალთან ადამიანები მაინც ვერ შორდებიან პლანეტის სხვა მცხოვრებთ, რადგან სიყვარულით დავალებულნი იმავე სიყვარულის ხსოვნით განაგრძობენ სიცოცხლეს. როგორც თავად მწერალი ქალი შენიშნავს რომანის დასასრულს: „მსურდა პატივი მიმეგო ადგილობრივი ფოლკლორისა და ზეპირსიტყვიერებისათვის, მაგრამ აქ მაინც ყველაფერი გამონაგონია - ინტერესის, ოცნების, სიყვარულის, მწუხარებისა და წარმოსახვის ნაზავი“. (შაფაქი, 2022:434). ვაჟასთანაც ყველაფერს იტევს თუნდაც ერთი ციდა მოთხრობა, მაგრამ უძველესი სამყაროდან მომდინარე, მეცნიერული კვლევების წყალობით მხოლოდ XX-XXI საუკუნეებში იქნა დადგენილი.

ორჯერ მიიღო ელიფ შაფაქმა სტენფორდის პრემია - 2022 და 2025 წლებში - მოგზაურობისას მისი გარემოს აღქმის ოსტატობის გამო, ვაჟა-ფშაველა XX-XXI საუკუნეებში გახდა სახელმძღვანელო, მისი იდეები საკამათო თუ გაღრმავებულად აღქმული - გზა სამყაროს ჰარმონიულობის აღდგენისკენ, გაფრთხილებად თუ ხვეწნა-ვედრებად რჩება ადამიანებისათვის.

ე. შაფაქის რომანი 2021 წლამდე დაიბადა. ქართველი ვაჟას ნაწარმოებების ნაწილი მოთხრობები და ლექსები ინგლისურად ქართველოლოგმა დონალდ რეიფილდმა თარგმნა 2018 წლამდე, ხოლო შემდგომში (2022, 2025 წლებში) გამომცემლობა „არტანუჯმა“ გამოსცა.

თითქოს ორი დიდებული მწერლის ფიქრთა თანხვედრა აისახა მათ შემოქმედებაში.

### **დასკვნა/შედეგები**

და თუმცა იაკონელთა (პოეტების ფილოსოფოსთა თუ სხვა უბრალო ადამიანების) შემეცნებში მცენარეულ სამყაროს (განსაკუთრებით საკურას ყვავილებს) დიდი ადგილი უკავია და ვერავის გააკვირვებთ მათი ბუნებასთან ურთიერთობის გამოვლინებით შაფაქის რომანის სტილი თავისთავად მიგვანიშნებს კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე კოდირებული ჰარმონიით ბუნებასთან, ოცდამეერთე საუკუნეში, თვით პანდემიის დროს ინტელექტუალი მწერლის ოსტატობის ახალ გამოვლინებად წარმოგვიდგება. ბუნება და ადამიანი კვლავაც იქცა მხატვრული შემოქმედების თემად თურქი მწერლის ელიფ შაფაქის რომანის „გამქრალი ხეების კუნძული“ მეშვეობით. მეცნიერულ კვლევებზე დაყრდნობით, თავისი ინტუიციით ე. შაფაქი ღრმად ჩასწვდა საკითხს, რომელიც ეხმაურება ჯერ კიდევ XIX საუკუნეში საკმაოდ ცნობილი ქართველი მწერლის ვაჟა-ფშაველას ნააზრევში გამოთქმულს, რომ სამყარო ერთიანია, ბუნება და ადამიანი უძველეს დროში ჰარმონიულად მიმდინარე,

კვლავაც უნდა აღდგეს ამავე წესით, რაც თვით კაცობრიობას სჭირდება ომების, გაუცხოების ყველა ფორმის გამოვლინებებით და ჭეშმარიტებისკენ სწრაფვით.

და, თუ ვაჟას საოცარი ლექსი „რამ შემქმნა ადამიანად“ (1913) პოეტის, როგორც ადამიანის სინანულს გამოხატავს მოვიდეს წვიმად, რათა მორწყოს სამყარო, ელიფ შაფაქთან იგივე ერთი წინადადებით გამოიხატება: „7.“ „რამდენიმე ალერსიანი სიტყვით მიეგებეთ ამქვეყნად დაბრუნებულ ხეს“ (შაფაქი, 2022: 425).

### გამოყენებული ლიტერატურა:

- ვართაგავა, ი. (1858). სიმღერა მთის შვილის - ვაჟა-ფშაველასი. 1913-1914. კრებულში: *კრიტიკული წერილები*. ტ. I. თბილისი.
- ფშაველა, ვ. (2012). კრებულში: *ჩემი რჩეული*. ტ. 1. თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L.
- შაფაქი, ე. (2022). *გამქრალი ხეების კუნძული*. თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L.
- ჭუმბურიძე, ჯ. (1974). *მწერლები და კრიტიკოსები*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.